

ხელშეკრულება “ბილაინის” მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის შესახებ

დასახელება -----
საიდენტიფიკაციო კოდი -----
საქართველოს რეზიდენტი -----
იურიდიული მისამართი -----
ფაქტობრივი მისამართი -----
კორესპონდენციის მიწოდების მისამართი -----
დირექტორის სახელი და გვარი -----
საკონტაქტო პირი: -----
სახელი გვარი: -----
ტელეფონის ნომერი: -----
ელ-ფოსტა: -----

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ვიონი საქართველო ” (შემდგომში “ოპერატორი”), წარმოდგენილი მისი კორპორატიული განყოფილების ხელმძღვანელის ხათუნა კობრეიძის სახით, მოქმედი მინდობილობის საფუძველზე (მინდობილობა №1111, გაცემული 06.12.2017 წ.) და _____ (შემდგომში “აბონენტი”) ხელს აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში “ხელშეკრულება ”) “ბილაინის” მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის შესახებ.

1. საერთო დებულებები

1.1. ხელშეკრულება აწესრიგებს ურთიერთობებს “ოპერატორსა” და “აბონენტს” შორის “ოპერატორის” მიერ მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის შესახებ. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, “ოპერატორი” ახორციელებს შპს “ვიონი საქართველო” მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებას სასაქონლო ნიშნით -“ბილაინი”, ხოლო “აბონენტი” იხდის გაწეული მომსახურების საფასურს.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის გამოიყენება შემდეგი ტერმინები, დანარჩენ შემთხვევებში, მხარეები ხელმძღვანელობენ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტით (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ 2006 წლის 17 მარტს დამტკიცებული #3 დადგენილება) დადგენილი წესებით (შემდგომში წესები) განსაზღვრული ტერმინებით.

სატარიფო გეგმა – “ოპერატორის” მიერ დამტკიცებული ტარიფების ჩამონათვალი, რომლებიც შეესაბამება მომსახურების განსაზღვრულ ნაკრებს.

საკომუნიკაციო ქსელთან დაშვების ტექნიკური შესაძლებლობის მიწოდება – სააბონენტო ტევადობის თავისუფალი ნომრების (ინდენტიფიკაციის უნიკალური კოდების) და/ან საკომუნიკაციო არხების, მათ შორის რადიოარხების არსებობა გამოყოფილი სიხშირის რესურსის გათვალისწინებით.

“პირობითი თანხა” – “აბონენტის” უფლებების ფულადი ან სხვა ექვივალენტის სახით გამოხატული მოცულობა, მომსახურების მისაღებად მისთვის მიწოდებულ ყველა ნომერზე.

მობილური საკომუნიკაციო მომსახურება (მომსახურებები) – შეტყობინებების მიღებასთან, დამუშავებასთან, შენახვასთან, გადაცემასა და მიწოდებასთან დაკავშირებული საქმიანობა. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებაში იგულისხმება მობილური საკომუნიკაციო კავშირით მომსახურება და მოძრავ საკომუნიკაციო ქსელში გასაწევი დამატებითი მომსახურება, “ოპერატორის” მიერ “აბონენტებისთვის” გაწეული მომსახურება მონაცემთა გადაცემის ქსელში, შესაბამისი სახის მომსახურების გაწევის წესებისა და გაცემული ლიცენზიების პირობების შესაბამისად;

“ელექტრონული” ანგარიში (პირადი ანგარიში) – “ოპერატორის” ანგარიშსწორების ავტომატიზებულ სისტემაში არსებული ელექტრონული ფაილი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას “პირობითი თანხის” შესახებ.

სახელმწიფო ორგანო

(i) ნებისმიერი სააგენტო, უწყება, ქვედანაყოფი ან ნებისმიერი სხვა ეროვნული, რეგიონული, ადგილობრივი სახელმწიფო ორგანო (მათ შორის და არამართო ნებისმიერი სატელეკომუნიკაციო ან სამაუწყებლო ორგანო, ნებისმიერი საპარლამენტო ან სხვა საკანონმდებლო ორგანო, ნებისმიერი სამხედრო ან სამართალდამცავი უწყება და სხვა).

(ii) სახელმწიფო ან სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ნებისმიერი კომერციული ან მსგავსი უწყებები, მათ შორის ნებისმიერი სახელმწიფო კომპანია.

(iii) ნებისმიერი პოლიტიკური პარტია; ან

(iv) ნებისმიერი საჯარო საერთაშორისო ორგანიზაცია.

საჯარო მოხელე

(i) ნებისმიერი ეროვნული, რეგიონული, ადგილობრივი ან სხვა სახელმწიფო ორგანოს (ზემოთ განსაზღვრული), თანამდებობის პირები, თანამშრომლები ან წარმომადგენლები;

(ii) ნებისმიერი კერძო პირი, რომელსაც დროებით ან ანაზღაურების გარეშე უჭირავს საჯარო თანამდებობა ან ასრულებს საჯარო მოხელის ფუნქციას;

(iii) იმ კომპანიების თანამდებობის პირები, თანამშრომლები ან წარმომადგენლები, სადაც სახელმწიფოს გააჩნია წილი/ინტერესი;

(iv) სახელმწიფო ორგანოს სასარგებლოდ ან მისი სახელით მოქმედი ნებისმიერი კერძო პირი (როგორცაა სახელმწიფო სააგენტოს მიერ დაქირავებული კონსულტანტი);

(v) ნებისმიერი დონის პოლიტიკური თანამდებობის კანდიდატი;

(vi) პოლიტიკური პარტიები და მათი წევრები;

(vii) სამეფო ოჯახის წევრები, მათ შორის ისინიც, ვისაც შეიძლება არ გააჩნია ოფიციალური უფლებამოსილება, მაგრამ სხვაგვარად შეუძლიას გავლენა მოახდინოს მიზნობრივ ბიზნეს-ინტერესების ხელშეწყობაზე, მაგალითად, სახ-ო მფლობელობაში არსებული ან სახ-ოს მიერ კონტროლირებად ორგანოს ნაწილობრივი ფლობის ან მართვის საშუალებით;

(viii) საჯარო საერთაშორისო ორგანიზაციების (როგორცაა გაერთიანებული ერები, მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი) თანამდებობის პირები, თანამშრომლები ან წარმომადგენლები; ან

(ix) რომელიმე ზემოხსენებულის ოჯახის უახლოესი წევრი.

2. ძირითადი პირობები

2.1. მომსახურების გაწევა ხორციელდება “ოპერატორსა” და “აბონენტს” შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულებით განსაზღვრული მხარეთა უფლებები და ვალდებულებები არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, გარდა კანონით ან ხელშეკრულებით დადგენილი წესებისა. თავისი საქმიანობის განსახორციელებლად “ოპერატორს” მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვს მოიზიდოს სხვა იურიდიული და ფიზიკური პირები.

2.2. შეთანხმება ფორმდება “აბონენტისა” და “ოპერატორის” უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელშეკრულების და მისი დანართების ხელმოწერის გზით. ხელშეკრულების დამოწმება შესაძლებელია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შესრულების ფაქსიმილური საშუალებებით.

2.2.1. აბონენტს მომსახურება მიეწოდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.3. დამატებით და სხვა მომსახურებას, რომლებიც ტექნოლოგიურად უშუალოდ უკავშირდება მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებას და მიმართულია მისი სამომხმარებლო ღირებულების გაზრდისკენ (შემდგომში “დამატებითი მომსახურება”) გასწევს “ოპერატორი” ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მესამე პირები ხოლო “აბონენტი” იხდის საფასურს წინამდებარე ხელშეკრულების, მესამე პირთან დადებული ხელშეკრულებისა და შესაბამისი მომსახურების გაწევის წესების შესაბამისად.

2.4. ინფორმაციას მომხმარებლისთვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურებების პირობების, მათ შორის მომსახურების მიღების, შეზღუდვის და შეწყვეტის პირობებისა და მომსახურების პაკეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე „ოპერატორი“ განათავსებს მის კუთვნილ ვებ-გვერდზე საჯარო ოფერტის ან ოფერტის სახით, აბონენტს წინადადება შეიძლება მიეწოდოს ოფერტის გაკეთების შეთავაზების სახით.

2.5. აბონენტს შეთავაზებული დამატებითი მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიღება შეუძლია ასევე სარეკლამო მასალებში. ინტერნეტის ან ტელევიზიის საშუალებით განთავსებულ სარეკლამო ინფორმაციაში აისახება დამატებითი მომსახურების მიღების ნომერი (აქტივაციის კოდი) ან მომსახურებასთან მიერთების რაიმე სხვა წესი.

2.6. აბონენტი კრეფს დამატებითი მომსახურების აქტივაციის ნომერს, რითაც თანხმდება დამატებითი მომსახურების გაწევისა და მათი ტარიფიკაციის წესებს, აგრეთვე თანხმდება ამ მომსახურების მიღებასა და გადახდაზე.

2.7. “აბონენტი” იხდის დამატებითი მომსახურების საფასურს ანგარიშსწორების შერჩეული სისტემის მიხედვით, თუ დამატებითი მომსახურების გაწევა სხვაგვარს არ ითვალისწინებს.

3. ოპერატორის უფლებები და მოვალეობები

3.1 ოპერატორი ვალდებულია:

1). მომსახურების გაწევის პერიოდში (მომსახურების სახეობიდან გამომდინარე) აბონენტს მიაწოდოს სარგებლობაში ტელეფონის ნომერი და/ან იდენტიფიკაციის უნიკალური კოდები: ტელეფონის ნომრის მიწოდება ხდება მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულების დადებისას, იდენტიფიკაციის უნიკალური კოდები კი აბონენტს მიეწოდება მონაცემთა გადაცემის მომსახურების ფაქტობრივი სარგებლობის დაწყების მომენტიდან მთელი ვადით, რაც აუცილებელია მომსახურების ფიზიკური მიწოდებისთვის.

2). შეასრულოს წესებითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

3). დაიცვას დაზიანების აღმოფხვრის ვადები და წესები „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის“ შესახებ რეგლამენტით დადგენილ ვადებში.

4). მისი ბრალეული ქმედებით გამოწვეული, აბონენტის მიერ მომსახურების მიუღებლობის შემთხვევაში, კომპენსაციის სახით გადაუხადოს თანხა, რომელიც დაერიცხება შესაბამის საბანკო ანგარიშზე.

5). გააფრთხილოს აბონენტი მომსახურების მოსალოდნელი შეზღუდვის ან შეწყვეტის შესახებ, მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით.

6). 1 წლის განმავლობაში მიაწოდოს აბონენტს მობილური საკომუნიკაციო მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების დანართ #1-ში მითითებული ტარიფების უცვლელად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ტარიფის ცვლილება განხორციელდება საკანონმდებლო მოთხოვნის ან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტის შესაბამისად.

3.2 ოპერატორს უფლება აქვს;

1) ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, თუ ასეთი ცვლილება განპირობებულია საკანონმდებლო მოთხოვნის ან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტის შესაბამისად. ასეთი ცვლილების განხორციელებამდე შეატყობინებს აბონენტს წერილობით 6.4.8. პუნქტში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე.

2) აბონენტის თანხმობისას ნებისმიერი ცნობა, რომელსაც შეიცავს აბონენტის საადრიცხვო მონაცემები, ასევე ოპერატორის მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტები, შეიძლება ნებისმიერ დროს შეამოწმოს ოპერატორმა, უშუალოდ ან მესამე პირების მეშვეობით (საკრედიტო ბიუროების ჩათვლით).

3) აბონენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშების გადაუხდელობის შემთხვევაში მიმართოს კანონმდებლობით დადგენილ ზომებს, რაც ეხება აბონენტისაგან შეუსრულებელი ვალდებულებებისა და ზარალის თანხების გადახდევინებას. გადახდევინებას

ექვემდებარება აბონენტის მიერ დამატებითი მომსახურების, ასევე გააქტიურებული აქციის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაც. ოპერატორს უფლება აქვს, დავალიანების ამოღება დააკისროს მესამე პირებს.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისა და მისი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ოპერატორი როგორც პირადად, ასევე მისი უფლებამოსილი პირების მეშვეობით ამუშავებს აბონენტის პერსონალურ მონაცემებს, ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან კანონმდებლობით განსაზღვრული დროით, რომლის მანძილზეც ოპერატორი ვალდებულია შეინახოს აბონენტისა და მისთვის მომსახურების გაწევის შესახებ ინფორმაცია. მონაცემებს ოპერატორი ამუშავებს, როგორც ავტომატური ისე არაავტომატური საშუალებების გამოყენებით. დამუშავებაში იგულისხმება მონაცემთა მიმართ შემდეგი ქმედებების შესრულება : შეგროვება, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოყენება ან გამჟღავნება (მათ შორის გადაცემა) , დეპერსონალიზაცია, დაბლოკვა, წაშლა, ან განადგურება.

3.3.1. ოპერატორი ამუშავებს აბონენტის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: სახელს, გვარს, დაბადების თარიღს, პირად ნომერს, მისამართს, სიმ-ბარათის ნომერს, იმეი-კოდს, სატარიფო გეგმას, ელექტრონულ ფოსტას, კომუნიკაციის წყაროს კვალის დადგენისა და იდენტიფიცირებისთვის საჭირო მონაცემებს; კომუნიკაციის თარიღის, დროისა და ხანგრძლივობისთვის საჭირო მონაცემებს; კომუნიკაციის სახის, მისი აღჭურვილობის ან შესაძლო აღჭურვილობის ადგილმდებარეობის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემებს; ბილინგის ინფორმაციას, რომელიც მოიცავს ტრაფიკის შესახებ მონაცემებს;

3.3.2. მონაცემებს ოპერატორი ამუშავებს აბონენტისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის,, მარკეტინგული კვლევების, პროდუქტებისა და მომსახურების განვითარების, მომსახურების გაუმჯობესების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, ადმინისტრირების და სხვა მიზნებისთვის რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

3.3.3. აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით მონაცემებს ოპერატორის სახელით ამუშავებენ ასევე უფლებამოსილი პირები, მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის არსებით პირობას წარმოადგენს აბონენტთა მონაცემების კონფიდენციალურობა და მათი დამუშავებისას უსაფრთხოების დაცვა.

3.3.4. ხელშეკრულების ხელმოწერით აბონენტი ეთანხმება ოპერატორის საქმიანობის, ტარიფებისა და მომსახურებების შესახებ სარეკლამო ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინებების მიღებას. აბონენტს ნებისმიერ დროს შეუძლია თქვას უარი ასეთი შეტყობინების მიღებაზე, მოკლე ტექსტური შეტყობინების შესაბამისი ნომრის კომბინაციაზე გაგზავნით. ოპერატორი შეწყვეტს მონაცემების დამუშავებას უარის მიღებისთანავე.

3.3.5. აბონენტს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებული მონაცემების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება.

3.3.6. აბონენტი ეთანხმება და უფლებას აძლევს ოპერატორს, მასზედ რომ მისი პერსონალურ მონაცემები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ ოპერატორმა შეიძლება გაუმჟღავნოს მისი ჯგუფის კომპანიებს, აგრეთვე კომერციულ და როუმინგ პარტნიორებს, ასევე სხვა ოპერატორებს რომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზეც ოპერატორი უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, ასევე მესამე

პირებს, რომელთაც ოპერატორისგან მინიჭებული აქვთ დავალიანების ამოღების უფლება, საკრედიტო ბიუროებს და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სახელმწიფო ორგანოებს.

3.4. აბონენტი აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ ოპერატორმა კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელშეკრულების გაფორმების კანონით დადგენილი ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს მისთვის აუცილებელი აბონენტის პერსონალური მონაცემები.

3.5. ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი ინტერნეტის მსოფლიო ქსელის ცალკეული კვანძების ან რესურსების ხელმიუწვდომლობაზე, რომელთა ადმინისტრირება ხდება მესამე მხარეების მიერ. ამგვარი ხელმიუწვდომლობის შემთხვევა არ წარმოადგენს კავშირის წყვეტას ან გაუმართაობას 3.3.1.3-ის შესაბამისად.

4. აბონენტის უფლება-მოვალეობები

4.1 აბონენტი ვალდებულია:

1) არ გამოიყენოს ტელეფონის ნომერი (მათ შორის იდენტიფიკაციის უნიკალური კოდები) მასობრივი გზავნილების წარმოებისათვის, ასევე შლუზის (ან დანადგარების) დასაყენებლად ფიქსირებული კავშირის ქსელში შეღწევისათვის, ასევე ინტერნეტ-ტელეფონისა და სხვა ღონისძიებებისათვის, რომლებიც იწვევს ოპერატორის მოწყობილობებისა და დანადგარების ქმედუნარიანობის დარღვევას და ზარალს.

2) დაუყოვნებლივ აცნობოს ოპერატორს SIM-ბარათის დაკარგვის შესახებ;

3) არ განახორციელოს მის მფლობელობაში არსებული სააბონენტო ნომრების გასხვისება, რაც გულისხმობს სააბონენტო ნომრების გადაცემის აკრძალვას ნებისმიერ მესამე პირზე, გარდა აბონენტის თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისა (მშობლები, მეუღლე, შვილები)

4) აწარმოოს სააბონენტო ნომრების რეესტრი, რომელშიც მიუთითებს ნომრის მოსარგებლის სახელს, გვარს, პირად ნომერს და აღნიშნული რეესტრი მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ოპერატორს.

5). თავად მოიპოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თანხმობა, "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვის მიზნით.

4.2 აბონენტს უფლება აქვს:

1) გამოიყენოს ქსელი მობილური სატელეფონო საუბრებისათვის, ინფორმაციის გადაცემისათვის ტექნიკური საშუალებებით ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად;

2) მოითხოვოს აუცილებელი და სარწმუნო ინფორმაცია ოპერატორის შესახებ, მისი მუშაობის რეჟიმისა და ოპერატორის მიერ შეთავაზებული მომსახურების ნაკრების შესახებ;

3) გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები მხოლოდ "ოპერატორის" თანხმობით, ამ უფლებებს და ვალდებულებებს კი მიიღებს სათანადო უფლებამოსილების მქონე პირი

4) შეასრულოს წესებით გათვალისწინებული სხვა ქმედებები.

5. ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურების ფასები (ტარიფები)

5.1 მომსახურების ყველა სახესთან დაკავშირებულ ტარიფებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ოპერატორი და ისინი ასახულია სატარიფო გეგმებში (დანართი #1).

5.2 შეერთების ხანგრძლივობა:

5.2.1 მობილური სატელეფონო შეერთების ხანგრძლივობა – ეს არის დროის ინტერვალი ოპერატორის აპარატურის მიერ გამოძახებული მხარის პასუხის განსაზღვრის მომენტიდან ოპერატორის აპარატურის მიერ ერთ-ერთი მხარიდან მობილური სატელეფონო შეერთების გათიშვის მომენტამდე.

5.2.2 შეერთების ხანგრძლივობა მონაცემთა გადაცემის ქსელით (კავშირის სენსი), რომელიც გამოიყენება გადასახადის ოდენობის განსაზღვრისათვის, ხმოვანი ინფორმაციის გადაცემისას აითვლება 1 წამის შემდეგ გამოძახებული მოწყობილობის პასუხის შემდეგ გამოძახებული ან გამომძახებელი მოწყობილობის გათიშვის მომენტამდე, რომელიც ცვლის აბონენტს მისი არყოფნის შემთხვევაში, ხოლო არახმოვანი ინფორმაციის გადაცემისას – 1 გადაცემული ბაიტიდან.

სააბონენტო მოწყობილობას, რომლის პასუხის სიგნალიც უტოლდება გამოძახებული მხარის პასუხს, მიეკუთვნება:

1) მოდემი, ან ფაქსიმილური აპარატი, რომელიც მუშაობდა ინფორმაციის ავტომატური მიღების რეჟიმში;

2) ავტომოპასუხით აღჭურვილი ნებისმიერი სააბონენტო მოწყობილობა;

3) სხვა სააბონენტო დანადგარი, რომელიც უზრუნველყოფს (ან ახდენს იმიტირებას) ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობას გამოძახებული მხარის არყოფნისას.

5.3 ოპერატორს უფლება აქვს, დაადგინოს საკომუნიკაციო მომსახურების ტარიფიკაციის ერთეულის ზომა და ტარიფიკაციის არასრული ერთეულის ანგარიშსწორების წესი.

5.3.1 ოპერატორის მიერ აბონენტისათვის მიწოდებული წუთობრივი მომსახურების საფასურის დარიცხვა ხდება გაწეული მომსახურების წამობრივი სიზუსტით.

5.3.2 მონაცემთა გადაცემის ქსელში შეერთების ტარიფიკაციის ერთეული არახმოვანი ინფორმაციის გადაცემისათვის დგინდება ბაიტების მიხედვით. ტარიფიკაციის ერთეული მითითებულია ყოველ კონკრეტულ სატარიფო გეგმაში.

5.4. ზედმეტად გადახდილი თანხა აბონენტს დაუბრუნდება მისი მიმართვიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

6. ანგარიშსწორება გაწეული საკომუნიკაციო მომსახურების სანაცვლოდ

6.1. ოპერატორთან ანგარიშსწორებისათვის შესაძლოა მოზიდული იყოს მესამე პირები.

6.2. ანგარიშსწორება გაწეული მომსახურებისათვის წარმოებს ეროვნულ ვალუტაში. მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ტარიფები მიეთითება ეროვნულ ვალუტაში - ლარში. ტარიფები, მითითებულია განფასების ფურცელში.

6.3. ანგარიშსწორება მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისათვის წარმოებს შემდგომი ან წინასწარი გადახდის სისტემით.

6.4. ანგარიშსწორების შემდგომი გადახდის სისტემა

6.4.1. ოპერატორს უფლება აქვს დაუწესოს აბონენტს მომსახურების შესაძლო მოცულობა – საკრედიტო ლიმიტი.

6.4.1.1. საკრედიტო ლიმიტი შესაძლებელია შეიცვალოს აბონენტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ოპერატორი ასახავს ცვლილებას სისტემაში, აბონენტის წერილში აღნიშნული თარიღის შესაბამისად.

6.4.2 გაწეული მომსახურებისთვის ოპერატორი ყოველთვიურად უწერს აბონენტს ინვოისებს ოპერატორის მოქმედი ტარიფების შესაბამისად. ყოველი ინვოისი გადახდილ უნდა იქნას მისი გამოწერიდან 25 დღის განმავლობაში.

6.4.3. აბონენტის მიერ ინვოისების მიუღებლობა ან მათ მიღებაზე უარის თქმა არ ათავისუფლებს აბონენტს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების საფასურის დროულად გადახდისგან.

6.4.4. გადახდის თარიღად ითვლება ოპერატორის საანგარიშსწორებო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღე.

6.4.5. თუ აბონენტისთვის გამოწერილ ინვოისში მითითებული თანხა ინვოისის გამოწერიდან 25 დღის მანძილზე არ დაირიცხა ოპერატორს საანგარიშსწორებო ანგარიშზე, ოპერატორს უფლება აქვს შეუზღუდოს აბონენტს მომსახურების გაწევა. ოპერატორის მიერ მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის დროებით შეზღუდვის პერიოდში სააბონენტო გადასახადის დარიცხვა სატელეფონო ნომრის ქსელიდან გათიშვის თარიღის ჩათვლით ხდება ოპერატორის მოქმედი ტარიფების მიხედვით.

6.4.6 აბონენტისთვის გაწეული მომსახურების ინვოისების მიწოდება ხდება ელექტრონულ მეილზე. მხარეები თანხმდებიან, რომ ელექტრონული ფორსტის მეშვეობით მიღებული შეტყობინებები ჩაითვლება წერილობით შეტყობინებად. ელ. მისამართები, რომელზეც გაიგზავნება შეტყობინებები, განცხადებები, სხვა დოკუმენტაცია შემდეგია: ოპერატორის მხრიდან საკონტარტო პირი და მისიელ. მისამართია: _____, _____, ხოლო აბონენტის მხრიდან საკონტარტო პირი და მისიელ. მისამართია: _____, _____

აბონენტს უფლება აქვს გაეცნოს ინვოისს და მიიღოს ისინი ასევე ოპერატორის ოფისებში. აბონენტის მიერ ინვოისების მიუღებლობა არ ათავისუფლებს მას მათი გადახდის ვალდებულებისგან. ინვოისების გამოწერის თარიღს ადგენს ოპერატორი და აცნობებს მათ აბონენტს ხელშეკრულების დადებისას.

6.5. ანგარიშსწორება წინასწარი გადახდით:

6.5.1. წინასწარი გადახდის დროს აბონენტი ავსებს ბალანსს;

6.5.2. ბალანსის ამოწურვისთანავე ხდება აბონენტისათვის მომსახურების შეზღუდვა, რაც გამოიხატება მისთვის გამავალი ზარისა და ყველა სახის ფასიანი მომსახურების გათიშვაში.

7. მომსახურების შეზღუდვისა და შეწყვეტის პირობები

7.1. მომსახურების შეზღუდვა

7.1.1. აბონენტს მომსახურება შეეზღუდება შემდეგ შემთხვევებში:

- არ აქვს დადებითი ბალანსი;

- გააჩნია დავალიანება გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით;
- მომსახურების მიღებისას ან სიმ-ზარათით (ზარების არასწორი ტერმინაცია ან/და ნომრის ცვლილება, სიმბოქსი) აბონენტი ზიანს აყენებს ოპერატორს, სხვა აბონენტებს ან მესამე პირებს;
- სააბონენტო ნომრით ახდენს ქსელში უნებართვო ჩართვას;
- მომსახურების მიღებით ახორციელებს მესამე პირთა პირადი ცხოვრების შემლახავ, მუქარის შემცველ, მათთვის მატერიალური ზიანის მიმყენებელ, ცილისმწამებლურ, შეურაცხმყოფელ, ან სხვა ნებისმიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას;
- ახორციელებს დაუშვებელი პროდუქციის, კომპიუტერული ვირუსის, თაღლითური, ან მავნე პროგრამების გავრცელებას;
- არღვევს 3. 4.1.1. –ის მოთხოვნებს, ან/და არღვევს მოქმედი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნებს. (მომსახურების განახლება ხდება დარღვევის სრული აღმოფხვრიდან არაუგვიანეს მეორე დღის დასრულებამდე)

7.1.2. იმ შემთხვევაში, თუ სააბონენტო ნომერზე 90 დღის განმავლობაში არ ფიქსირდება არანაირი ტრანზაქცია, ხოლო აბონენტს აქვს დადებითი ბალანსი, 91-ე დღიდან აბონენტს ბალანსიდან ჩამოეჭრება სააბონენტო გადასახადი (დღეში 3 ლარი), ანგარიშზე არსებული თანხის განულებამდე. სააბონენტო გადასახადის დარიცხვას აუქმებს სააბონენტო ნომერზე განხორციელებული ნებისმიერი ტრანზაქცია.

7.1.3. დადებითი ბალანსის არარსებობის შემთხვევაში აბონენტს შეეზღუდება მომსახურება, რაც გულისხმობს გამავალი ზარების შეზღუდვას. აბონენტი მიიღებს მხოლოდ შემომავალ ზარებსა და sms-ებს, ისარგებლებს გარკვეული უფასო მომსახურებებით და საგანგებო ნომრებით. შეზღუდვა უქმდება ბალანსის შევსების ან/და ფასიანი ტრანზაქციის განხორციელების შემთხვევაში.

7.1.4. გამავალი ზარის შეზღუდვიდან 45 დღის განმავლობაში, ნომერზე აქტივობის არარსებობის შემთხვევაში, აბონენტს მომსახურება შეეზღუდება ორმხრივად, რა დროსაც შეძლებს დარეკვას მხოლოდ საგანგებო და კლიენტთა მომსახურების ნომრებზე. შეზღუდვა უქმდება ბალანსის შევსებით ან/და ფასიანი ტრანზაქციის განხორციელებით.

7.2. მომსახურების შეწყვეტა:

7.2.1. სააბონენტო ნომრის ორმხრივად შეზღუდვიდან 10 დღის განმავლობაში, ნომერზე აქტივობის არარსებობის შემთხვევაში აბონენტს შეუწყდება მომსახურება.

8. კომპენსაცია

8.1. ოპერატორის ბრალეული ქმედებით აბონენტის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მომსახურების მიუღებლობის შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელი კომპენსაციის სახით აბონენტს შესაბამის საბანკო ანგარიშზე დაურიცხავს თანხას, რომლის გამოთვლა ხდება შემდეგი წესით: მომსახურების მიმწოდებლის მიერ რეგისტრირებული აბონენტების მიერ მომსახურების ვერ მიღებამდე წინა სამ (3) კალენდარულ თვეში გახარჯული თანხის მიხედვით საშუალო დღიური

განახარჯი გამრავლებული იმ დღეების რაოდენობაზე, როდესაც აბონენტმა ვერ მიიღო მომსახურება. ერთ დღეში იგულისხმება სრული 24 (ოცდაოთხი) საათი.

8.2.. კომპენსაციას ექვემდებარება ოპერატორის ბრალეული ქმედებით გამოწვეული, აბონენტის პირდაპირი ზიანი.

8.2.1. არაპირდაპირი ზიანი, როგორცაა მიუღებელი შემოსავალი ან სხვა შედეგობრივი დანაკარგები მომსახურების მიწოდების მიერ არ ანაზღაურდება.

9. მომსახურებასთან დაკავშირებით საჩივრების წარდგენა

9.1. აბონენტს მომსახურებასთან დაკავშირებული საჩივარი შეუძლია წარადგინოს შპს „ვიონი საქართველოს“ ოფისებში. საჩივრების განმხილვევი სამსახური განიხილავს საჩივარს და მიიღებს გადაწყვეტილებას მისი წარდგენიდან 15 დღის ვადაში.

9.1.1. აბონენტს შეუძლია მიმართოს შპს „ვიონი საქართველოს“ ოფისებს შემდეგ მისამართებზე:

- ცენტრალური ოფისი ქ.თბილისში – წერეთლის გამზ.. #116

- ოფისი ქ. ბათუმში – გორგილაძის ქ. #40

- ოფისი ქ.თელავში – წამებულის ქ. #11

- ოფისი ქ. ქუთაისში – წმინდა ნინოს/ ფალიაშვილის ქ. # 8/19

- ოფისი ქ. ზუგდიდში – გამსახურდიას ქ. #8

10. პასუხისმგებლობა

10.1. აბონენტისთვის გადაცემული სააბონენტო ნომრების, აბონენტის მიერ გასხვისების შემთხვევაში, მას დაეკისრება ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ ფაქტზე.

10.2. იმ შემთხვევაში თუ აბონენტის ქმედებამ გამოიწვია ოპერატორის მიმართ მესამე პირთა პრეტენზიები, რამაც ოპერატორს მიაყენა მატერიალური ზიანი, აბონენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ოპერატორს ასეთი მატერიალური ზიანი სრულად.

11. სხვა პირობები

11.1. ოპერატორის მიერ გაწეული – მობილური სატელეფონო კავშირი რადიოტალღების გავრცელების ბუნებრივი პირობებში შეიძლება გაუარესდეს, შეწყდეს ან თან ახლდეს დაბრკოლებები შენობების მახლობლად, გვირაბებში, სარდაფებსა და სხვა მიწისქვეშა ნაგებობებში, რელიეფის ლოკალური თავისებურებების და განაშენიანების, მეტეოროლოგიური პირობების და სხვა მიზეზების გამო.

11.2. აბონენტისთვის მიწოდებული მობილური სატელეფონო კავშირი ქსელის კონსტრუქციული თავისებურებების გამო დამოკიდებულია ადგილობრივი გამტარი სატელეფონო ხაზების

ოპერატორების მოწყობილობების ხარისხზე, საერთაშორისო და საქალაქთაშორისო საკომუნიკაციო ოპერატორების მოწყობილობაზე, რაც ოპერატორის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება.

11.3. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა დავას და უთანხმოებას მხარეები არეგულირებენ მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად. უთანხმოებები, რომლებთან დაკავშირებითაც მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, ექვემდებარება განხილვას სასამართლო ორგანოებში ოპერატორის ადგილსამყოფელის მიხედვით (ოპერატორის ფილიალისა, თუ მომსახურების გაწევა მოცემულ ტერიტორიაზე ხორციელდება ფილიალის მეშვეობით) ან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.

11.4. აბონენტს ეძლევა შესაძლებლობა, მიიღოს სააბონენტო კორესპონდენცია სატელეფონო და მობილური საკომუნიკაციო არხებით. ელექტრონული მისამართის, ფაქსის ნომრის გამოყოფით აბონენტი ადასტურებს თავის თანხმობას კორესპონდენციის გადაცემაზე საკომუნიკაციო ღია არხებით (ინტერნეტი, ფაქსი).

11.5. აბონენტის ნომრიანი სააბონენტო მოწყობილობის გამოყენების შემთხვევაში ტერორისტული ხასიათის მუქარის შემცველი შეტყობინებებისთვის, აბონენტის ნომერი იზლოკება (ითიშება). შესაბამის მასალებს ოპერატორი გადასცემს სამართალდამცავ ორგანოებს დამნაშავე პირების პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

11.6. ოპერატორის ურთიერთობა აბონენტთან, რომელიც წარმოიშობა მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევისას, ხორციელდება ქართულ ენაზე, მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაცვლის ჩათვლით. აბონენტი ადასტურებს მისი სააბონენტო მოწყობილობის შესაბამისობას მოცემულ მოთხოვნებთან და რომ იგი არ წაუყენებს ოპერატორს პრეტენზიებს, ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში იმის გამო რომ გამოყენებულ იქნა სააბონენტო მოწყობილობა, რომელიც არ უზრუნველყოფდა შეტყობინებების გაცვლას ქართულ ენაზე.

11.7. ხელშეკრულების ნომერში მხარეები გულისხმობენ ოპერატორის სისტემაში რეგისტრაციის ნომერს. სწორედ ეს ნომერი მიეთითება ანგარიშებში.

11.8. აბონენტი ადასტურებს, რომ მას ჩაბარდა ხელშეკრულება და მისი დანართი #1, გაეცნო ხელშეკრულებას, ასევე დანართს #1 და განემარტა მისი უფლებები.

11.9. აბონენტი ადასტურებს:

არ წარმოადგენს

წარმოადგენს

ამ ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრულ სახელმწიფო ორგანოს ან/და სახელმწიფო ორგანოსთან დაკავშირებულ პირს.

11.10. ხელშეკრულების დანართები #1 წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

აბონენტი

მისამართი : _____

საკონტაქტო ნომერი: _____

ხელმოწერა/ -----

თარიღი -----

ოპერატორის წარმომადგენელი

მისამართი: თბილისი, ზამზის რიგი #8

საკონტაქტო ნომერი: 2200611

ხელმოწერა/-----

თარიღი -----